ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები

მაკო მაისურაძე
ელ. ფოსტა: Mako.Maisuradze@ge.ey.com
2023 წელი

The better the question. The better the answer.
The better the world works.

Building a better working world

სარჩევი

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებები
2. კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ
3. ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რეგულაციები
4. სანქციათა რეჟიმის შესრულების წესი სებ-ის მიერ რეგულირებული პირების მიერ
5. ციფრულ ბანკებთან დაკავშირებული რეგულაციები

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებები

ცვლილებების მოკლე მიმოხილვა

- 2022 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონმდებლობაში შესულია დაახლოებით 12 შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ცვლილება.

- აქედან 2 მათგანი განხორციელდა უშუალოდ კანონში, ხოლო დარჩენილი 10 დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებში.

- ცვლილებები ძირითადად შეეხო:
  - პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებთან და საბუღალტრო ფირმებთან:
  - ხარისხის მართვასთან;
  - პროფესიულ ეთიკასთან;
  - განგრძობით განათლებასთან;
  - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან; და
  - უდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტრებთან და საბუღალტრო ფირმებთან დაკავშირებული

- კანონში გაჩნდა „პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის“ და „საბუღალტრო ფირმის“ განმარტებები.
  - ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც **უშუალოდ აწარმოებს** ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და **ამზადებს** ფინანსურ ანგარიშგებას.
  - პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი – ბუღალტერი, რომელიც **რეგისტრირებულია** ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების **დამკვეთისთვის ახორციელებს** ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას.
- საბუღალტრო ფირმა – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც **რეგისტრირებულია საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში** და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;

პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტრებთან და საბუღალტრო ფირმებთან დაკავშირებული

- შეიქმნა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების რეესტრი;
- ცვლილებების მიხედვით ფიზიკური ან იურიდიული პირი, იწყებენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, ვალდებულნი არიან საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში დარეგისტრირდნენ შესაბამის რეესტრში.
- განისაზღვრა, რომ:
  - რეესტრების ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მათ სტრუქტურასა და ფორმას და ასახული ინფორმაციის ნუსხას;
  - მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესსა; და
  - რეესტრის მართვის დელეგირების წესს, განსაზღვრავდა ზედამხედველობის სამსახური.

- პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი დამტკიცდა 2023 წლის 2 მაისს.

- ცვლილებები ემსახურება იმ პირთა იდენტიფიცირებას, რომელიც მნიშვნელოვანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნებიდან გამომდინარე, Financial Action Task Force-ის რეკომენდაციებთან და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობისთვის.

ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საკითხები

- სხვაგვარად ჩამოყალიბდა ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ცნება და მთელი რიგი დებულებები.
  - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების 1. **საერთაშორისო სტანდარტებთან** და 2. ამ **კანონით** დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, 3. **ეთიკის წესების** დაცვის, 4. **გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის**, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის 5. **მიღებული ანაზღაურების** მართლზომიერების და ხარისხის ~~კონტროლის~~ <u>მართვის</u> სისტემის შეფასება;
  - პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (International Ethics Standards Board for Accountants (IESBA) Code) და ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას.
  - აუდიტორების, ისევე როგორც აუდიტორული ფირმების რეესტრში აისახება ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგების შესახებ.
  - ძალაში დარჩა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებასა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებული რეგულაციები.

სხვადასხვა ცვლილებები

- 2023 წლის 16 თებერვლის ცვლილებებით, ზედამხედველობის სამსახურში შეიქმნა:
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველო;
  - ანგარიშგებების ადმინისტრირების სამმართველო; და
  - ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- 2023 წლის 17 თებერვლის ცვლილებებით, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრა ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებისთვის. მაგ:
- ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველო ხელმძღვანელისთვის მოთხოვნილია:
  - უმაღლესი განათლება ეკონომიკის ან ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით;
  - კანონმდებლობის და IFRS სტანდარტების ცოდნა;
  - სასურველია ACCA ან CFA სერტიფიკატის ფლობა;
  - საოფისე პროგრამების და ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.
- იგივე მოთხოვნებია გათვალისწინებული ანგარიშგებების ადმინისტრირების სამმართველოს ხელმძღვანელის მიმართ, თუმცა დამატებული აქვს <u>მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილების</u> მოთხოვნა.
- გამოქვეყნდა ეთიკის კოდექსის ქართული ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომია: https://www.saras.gov.ge/Content/files/IESBA_CODE_2022_GEO.pdf

ელექტრონული კომერციის შესახებ კანონი

მოკლე მიმოხილვა

- 2023 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- მისი მიზანია, მოაწესრიგოს ელექტრონული კომერციის მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა.
- მომსახურების მიწოდება ლიცენზირებას, ნებართვის მიღებას ან/და ავტორიზებას არ ექვემდებარება.
- იგი განსაზღვრავს მომსახურებების მიმწოდებლის ვალდებულებებს, მისი საქმიანობისა და მომსახურების მიწოდების პრინციპებს.
- კანონი აწესებს მომსახურების მიმწოდებლის იდენტიფიცირებისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს, რათა მომსახურების მიმღებმა მარტივად შეძლოს მისი ვინაობის დადგენა.
- განისაზღვრა მომსახურების მიწოდების პროცესში ელექტრონული ხელშეკრულების ცნება და მისი გაფორმების წესი და პირობები.
- მომსახურების მიმწოდებლის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მომსახურების მიმღებს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს.
- კანონი სრულად ძალაში შევა გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს, 2023 წლის დეკემბრიდან.

ელექტრონული კომერციის განსაზღვრა

- რას ნიშნავს ელექტრონული კომერცია?
- ელექტრონული კომერცია გულისხმობს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიწოდებას.
- საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება – მომსახურების მიმღების

  ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე,
  ანაზღაურების სანაცვლოდ,
  მომსახურების ელექტრონული საშუალებებით,
  დისტანციურად გაწევა:

- მომსახურების დისტანციურად გაწევა – ელექტრონული საშუალებებით მომსახურების მხარეთა ერთდროულად დაუსწრებლად გაწევა;

- ელექტრონული საშუალებები – ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისა (ციფრული შეკუმშვა და სხვა) და შენახვისთვის და რომლებითაც ხორციელდება მომსახურების დანიშნულების ადგილზე გადაცემა და მიღება სადენების (მათ შორის, ოპტიკური სადენების), რადიოტალღების ან სხვა ელექტრომაგნიტური საშუალებების გამოყენებით.

ელექტრონული კომერციის განსაზღვრა

- საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებად ჩაითვლება ტრანსპორტირების მომსახურება, როდესაც მომსახურების მიმღები უკვეთავს მომსახურებას აპლიკაციის მეშვეობით და ამ შეკვეთის განხორციელების მომენტში არ აქვს შეხება მომსახურების მიმწოდებელთან.
- ასეთი შემთხვევაა ტაქსის მომსახურება, როდესაც აპლიკაციით ხდება გამოძახება, ლოკაციისა და დანიშნულების ადგილის მითითება და ამასთან გადახდა ხორციელდება ელექტრონულად და მთელს ამ პროცესში მძღოლი არ არის ჩართული, ის მხოლოდ ახორციელებს ოფლაინ მომსახურების მიწოდებას, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება კი ხდება მისგან დამოუკიდებლად ოთხივე კომპონენტის დაკმაყოფილებით.
- მაგ. Profy, Spotify.

- საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებად <u>არ ჩაითვლება</u>, მაგალითად:
  - თვითმფრინავის ბილეთის დაჯავშნა სამოგზაურო სააგენტოს ოფისში კომპიუტერის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენების მიუხედავად.
  - ხმოვანი ტელეფონიით მიღებული ნებისმიერი სახის მომსახურება;
  - მომსახურებები, რომლებიც არ არიან მიწოდებული ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, მაგალითად არის ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა.

მიმწოდებლის ძირითადი ვალდებულებები მიმღებთან

- მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების მიმღებისთვის მომსახურების მიმწოდებლის შესახებ სულ მცირე შემდეგი ინფორმაციის მუდმივად და ადვილად ხელმისაწვდომობა:

  ა) საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა;

  ბ) მისამართი;

  გ) ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია;

  დ) საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი;

- მომსახურების ღირებულება მკაფიოდ და გასაგებად უნდა იყოს მითითებული და უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას მასში გათვალისწინებული ყველა ხარჯის შესახებ, მათ შორის, მიტანის და გადასახადების თაობაზე.

- მომსახურების მიმწოდებელი პასუხისმგებელია ინფორმაციის სიზუსტისა და ხელმისაწვდომობისთვის.

ელექტრონული ხელშეკრულების დადებისთვის საჭირო ინფორმაცია

- მომსახურების მიმწოდებელმა ელექტრონული ხელშეკრულების დადებამდე უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებისთვის შემდეგი ინფორმაციის მკაფიოდ, სრულყოფილად და გასაგებად მიწოდება:

  ა) ხელშეკრულების დადებისთვის საჭირო ყველა ტექნიკური ეტაპის შესახებ;

  ბ) ხელშეკრულების ელექტრონული საშუალებებით შენახვისა და მისი ხელმისაწვდომობის პირობების შესახებ;

  გ) ხელშეკრულების დადებისთვის ხელმისაწვდომი ენების შესახებ, ერთ-ერთი ენა აუცილებლად უნდა იყოს ქართული;

  დ) შეკვეთის საბოლოოდ განთავსებამდე დაშვებული შეცდომის იდენტიფიცირებისა და გამოსწორების ტექნიკური საშუალებების შესახებ.

მონიტორინგი

- მომსახურების მიმღების უფლებებისა დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომსახურების მიმღების უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს კონკურენციის ეროვნული სააგენტო.

ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რეგულაციები

მოკლე მიმოხილვა

განმარტება

- ვირტუალური აქტივი – **ღირებულების ციფრული გამოხატულება**, რომელიც არის **ურთიერთჩანაცვლებადი** და **არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს** და **გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების** განხორციელების მიზნით.
- ვირტუალური აქტივი არ მოიცავს ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ გამოხატულებას.
- კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი – ვირტუალური აქტივი, რომელსაც ბაზარზე აქვს ეკვივალენტი ღირებულება ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან/და ფინანსურ ინსტრუმენტში, რომელშიც შესაძლებელია განხორციელდეს მისი გადაცვლა.

რეგულაციის შინაარსი

- ვირტუალური ვირტუალური აქტივი არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას.
- აკრძალულია ვირტუალური აქტივით გადახდების განხორციელება, გარდა სებ-ის აქტით განსაზღვრული იმ შემთხვევებისა, რომლებიც საჭიროა ვირტუალური აქტივის მომსახურების განსახორციელებლად.
- აქტივის მომსახურების პროვაიდერის მომსახურება ექვემდებარება სებ-ის ზედამხედველობას.
- კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა/ადმინისტრირება, რაც ვირტუალურ აქტივზე კონტროლის საშუალებას იძლევა, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივებისგან შემდგარი პორტფელის მართვა (გარდა კოლექტიური პორტფელის მართვისა) ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივების სავაჭრო პლატფორმის ადმინისტრირება ან/და ასეთი ვირტუალური აქტივის სესხად გაცემა ან/და პირველადი შეთავაზება ან/და პირველად შეთავაზებასთან დაკავშირებული მომსახურება.

მოკლე მიმოხილვა

- 2023 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი.
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა („სებ“) განსაზღვრა პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების პროცედურები.
- სებ-მა ასევე დააწესა პროვაიდერის ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის/ბენეფიციარი მესაკუთრის შესაფერისობის კრიტერიუმები.
- პროვაიდერებს დაევალათ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კონტროლის სისტემის დანერგვა.
- მომსახურებას ვერ განახორციელებს პირი, რომელიც არ არის სებ-ის მიერ რეგისტრირებული პროვაიდერი/საფინანსო სექტორის წარმომადგენელი და არ გააჩნია შესაბამისი მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.
- წესის მიხედვით, დაუშვებელია ფიზიკურ პირებზე ვირტუალური აქტივის სესხად გაცემა.
- წესი სრულად ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან.

სანქციათა რეჟიმის შესრულების წესი

მოკლე მიმოხილვა

- 2023 წლის 4 აგვისტოს გამოქვეყნდა სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირების მიერ სანქციათა რეჟიმის შესრულების წესი.
- წესის მიხედვით, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთისა და ბელარუსის მიმართ დაწესებული სანქციათა მოთხოვნები, რაც მოიცავს:
    - აშშ-ს მიერ დაწესებულ სანქციებს;
    - ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციებს;
    - დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებულ სანქციებს.
- საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, მიკრობანკებს და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს ევალებათ საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოველთვიურად წარუდგინონ ანგარიშგება რომელიც მოიცავს:
    - ინფორმაციას რუსეთის ფედერაციიდან, ბელარუსის რესპუბლიკიდან ან/და სხვა გეოგრაფიული არეალიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების შესახებ;
    - ინფორმაციას ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ.
- საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს და მიკრობანკებს ევალებათ სებ-ს ყოველთვიურად წარუდგინონ ზოგადი ანგარიშგება.

ციფრულ ბანკებთან დაკავშირებული რეგულაციები

მოკლე მიმოხილვა

- სებ-ის ვებ- გვერდზე გამოქვეყნებულია 2 ტიპის დოკუმენტი, რომელიც შეეხება ციფრული ბანკების ლიცენზირების და საქმიანობის საკითხებს:
  - ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპები; და
  - გზამკვლევი

- იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს (მათ შორის შეიძლება მისაღები იყოს ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან მხოლოდ რამდენიმეს კომბინაცია):
  - საბანკო სერვისების მიწოდებას ახორციელებს ძირითადად ელექტრონული არხებით;
  - საბანკო სერვისების მოწოდებისას იყენებს ადგილობრივ ბაზარზე მატერიალურად ახალ ტექნოლოგიებს და/ან ინოვაციურ ტექნოლოგიურ ბიზნეს მოდელს;
  - ორიენტირებულია ღია ბანკინგზე და საბითუმო ბაზარზე საბანკო საქმის როგორც სერვისის მოდელის განვითარებაზე;
  - როგორც გარე, ასევე შიდა საბანკო მოდულები დაფუძნებულია API ინტერფეისზე და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ეფუძნება მოდულარულ მოწყობას
  - გააჩნია მომხმარებლის იდენტიფიცირების, ავთენტურობის დადგენის ელექტრონული ტექნოლოგიური საშუალებები და შეუძლია აღნიშნული სერვისის მესამე მხარეებისთვისაც მოწოდება.

მოკლე მიმოხილვა

კონცეფცია

განმცხადებელმა უნდა გაიაროს კონსულტაცია სებ-თან და დაადასტუროს რომ მას აქვს ციფრული ბანკისთვის შესაბამისი ტექნოლოგიური სისტემები, მდგრადი ბიზნეს მოდელი , საქმიანობის შეწყვეტის გეგმა და ესმის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული რისკები და შეუძლია მათი მართვა.

ლიცენზიის მოპოვება

განმცხადებელი უნდა შეესაბამებოდეს ყველა მოთხოვნას, რაც დადგენილია სტანდარტული კომერციული ბანკის ლიცენზიის მისაღებად. ამ ეტაპზე გარკვეულწილად შემსუბუქებულია ზოგიერთი მოთხოვნა, მაგ. მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით, და პერიოდულად მკაცრდება ისინი.

კონცეფციასთან შესაბამისობა

ეს არის ბანკის გამართვის პერიოდი, საწყისი მოდელი იტესტება ინსაიდერებზე. ტარდება სისტემების და პროცესების აუდიტი და სებ-თან თანამშრომლობით უნდა დადგინდეს პროცესების გამართულობა.

ოპერაციები რეალურ გარემოში

გაიცემა სრული საბანკო ლიცენზია და ოპერაციები ხორციელდება რეალურ გარემოში.

EY | Building a better working world

EY exists to build a better working world, helping to create long-term value for clients, people and society and build trust in the capital markets.

Enabled by data and technology, diverse EY teams in over 150 countries provide trust through assurance and help clients grow, transform and operate.

Working across assurance, consulting, law, strategy, tax and transactions, EY teams ask better questions to find new answers for the complex issues facing our world today.

EY refers to the global organization, and may refer to one or more, of the member firms of Ernst & Young Global Limited, each of which is a separate legal entity. Ernst & Young Global Limited, a UK company limited by guarantee, does not provide services to clients. Information about how EY collects and uses personal data and a description of the rights individuals have under data protection legislation are available via ey.com/privacy. EY member firms do not practice law where prohibited by local laws. For more information about our organization, please visit ey.com.

EY works together with companies across Caucasus and Central Asia and assists them in realizing their business goals. More than 1,700 professionals work at 8 offices (in Almaty, Astana, Atyrau, Baku, Bishkek, Tashkent, Tbilisi, Yerevan).

© 2021 EY LLC.
All Rights Reserved.

ED MMYY

This publication contains information in summary form and is therefore intended for general guidance only. It is not intended to be a substitute for detailed research or the exercise of professional judgment. Neither EYGM Limited nor any other member of the global EY organization can accept any responsibility for loss occasioned to any person acting or refraining from action as a result of any material in this publication. On any specific matter, reference should be made to the appropriate advisor.

ey.com/ge